სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

28645130022826

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N26162271

რეგისტრაციის თარიღი

17.11.2026 წ

ნოტარიუსი: მაგდა ჯანხოთელი
მისამართი: ქ. თბილისი,ო. ხიზანიშვილის ქ. N23
ტელეფონი: 598 40 52 51

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაექვსი წლის ჩვიდმეტ ნოემბერს, ჩემთან, ნოტარიუს მაგდა ჯანხოთელთან, სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ო.ხიზანიშვილის ქ. #23, გამოცხადდა: **იმიზო ჭკადუა** (დაბ.: 25.07.1950 წელს, მცხ. მისამართზე: თბილისი, გლდანი, ვ. ჟღენტის I შესახვევი, #8, პირადი #01022001509). მან განაცხადა, რომ სურს უფლებამოსილება მიანიჭოს **ზაური მაჭარაშვილს** (დაბადებული 10.05.1978 წელს, პირადი #54001000904). მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მისი პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, მისი ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობის გამცემს. მან თავადაც წაიკითხა და განაცხადა რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგი შინაარსის დოკუმენტს:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **იმიზო ჭკადუა** (მონაცემები მოცემულია ზემოთ), შემდგომში "მიმნდობი", უფლებამოსილებას ვანიჭებ **ზაური მაჭარაშვილს** (მონაცემები მოცემულია ზემოთ), შემდგომში "მინდობილი", მასზედ, რომ იყოს ჩემი წარმომადგენელი ჩემს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებასთან (ს/კ 01.72.13.394.010) დაკავშირებით საკრებულოში, გამგეობაში, მერიაში, ადგილობრივ მუნიციპალიტეტში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მერიის არქიტექტურის სამსახურში, ქ. თბილისის მუნიციპალურ ინსპექციაში, ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, სსიპ ქ. თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, ქ. თბილისის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სხვა ნებისმიერ უწყებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სადაც წარადგინოს და მიიღოს განცხადებები/თანხმობები და სხვა დოკუმენტები, მათ შორის წარადგინოს ელექტორნული განცხადებები, ასევე წარადგინოს და შეათანხმოს საცხოვრებელი სახლის, შენობა-ნაგებობების, ფასადის ცვლილების, ფანჯრის ღიობის, ავტოფარეხის, მიწის ნაკვეთის ღობის და სხვა ნებისმიერი სახის პროექტები და ნახაზები, აიღოს მშენებლობის, დემონტაჟის და სხვა ნებისმიერი სახის პროექტები და ნახაზები, აიღოს მშენებლობის, დემონტაჟის და სხვა ყველა სახის ნებართვა. მოითხოვოს პროექტების კორექტირება/ცვლილება, მოახდინოს შენობა-ნაგებობის ლეგალიზაცია ან/და ექსპლუატაციაში მიღება. მოითხოვოს მშენებლობის და სხვა ყველა სახის ნებართვის ვადის გაგრძლება, გადაიხადოს შესაბამისი გადასახადები, მოაწეროს ხელი (მათ შორის ელექტრონულად) ყველა საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ქონების განკარგვის უფლების გარეშე.

მინდობილობა <u>გაცემულია ექვსი თვის ვადით.</u>

მინდობილობა შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, ორი გადაეცა მიმნდობს, ერთი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში.

გადახდილია საზღაური: საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილება #507-ს ("სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ) 31-ე მუხლის პ. 7 შესაბამისად 18.00 (თვრამეტი) ლარი + 5.00 (ხუთი) ლარი, იგივე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად + დღგ 3.24 (სამი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად, სულ 26.24 (ოცდაექვსი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი: მაგდა ჯანხოთელი